ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
ბრძანება №ნ-12
2019 წლის 16 აგვისტო
ქ. თბილისი

„პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის უფროსის 2017 წლის 25 სექტემბრის №ნ-16 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,
ვბრძანებ:
მუხლი 1
„პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 26 სექტემბრის №ნ-16 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 26/09/2017, სარეგისტრაციო კოდი: 350090000.64.076.016025) შეტანილ იქნეს ცვლილება:
1. ბრძანების პირველი მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი“ (დანართი №1), თანდართული ,,სასწავლო კურსი და სწავლის შედეგები“ (დანართი ,,ა“) და ,,პრაქტიკის ფურცელი“ (დანართი ,,ბ“);

2. ბრძანებით დამტკიცებულ:

ა) ,,პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტს“ (დანართი №1) დაემატოს თანდართული **დანართი „ბ“;**

ბ) ,,პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის“ (დანართი №1) მე-9 მუხლის:

ბ.ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანდიდატის/სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ პრაქტიკული გამოცდილების მიღებას ზედამხედველი აუდიტორი ადასტურებს წერილობით, პრაქტიკის ფურცლით (დანართი „ბ“).“;

ბ.ბ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.
მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი **იური დოლიძე**

დანართი „ბ“

პრაქტიკის ფურცელი

ზედამხედველი აუდიტორის მიერ კანდიდატის/სერტიფიცირებული ბუღალტრის პრაქტიკული გამოცდილებისა და კომპეტენციის დადასტურება

1. კანდიდატის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი:

_____

არის არარეზიდენტი (შემოხაზეთ შესაბამისი პასუხი) - ა) კი ბ) არა

2. ზედამხედველი აუდიტორის (გარიგების პარტნიორის) სახელი, გვარი, პირადი ნომერი, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი:

_____

3. პრაქტიკის პერიოდი (დაწყებისა და დასრულების თარიღის მითითებით)

_____

4. სუბიექტთან დადებული იმ გარიგებების შესახებ, რომელშიც კანდიდატი/ სერტიფიცირებული ბუღალტერი მონაწილეობდა (შესაბამისი როლის მითითებით) :

	სახელწოდება	**საიდენტიფიკაციო ნომერი**	**ხელშეკრულების საგანი**	**პერიოდი**
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				

5.ინფორმაცია კანდიდატის/სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაში მონაწილეობისას გამოვლენილი და გამომუშავებული პროფესიული კომპეტენციების შესახებ:

	დიახ/არა	კომენტარი
პროფესიული უნარები:		
ზოგადი		
ინტელექტუალური		
კომუნიკაციის		
პიროვნული და ორგანიზაციული		
ტექნიკური კომპეტენციები:		
ფინანსური ანგარიშგების მომზადება		
ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და ინტერპრეტაცია		

ფინანსური ანგარიშგების კონტროლის სისტემის შეფასება		
ფინანსური რისკების იდენტიფიცირება და მართვა		
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა		
აუდიტორული მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება		
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების მიმოხილვა და გამოვლენილი ფაქტების ანგარიშის მომზადება		
გადასახადების გამოთვლა		
საგადასახადო რისკების შეფასება		
პროფესიული ფასეულობები:		
პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა		
ეთიკური პრინციპები და დამოუკიდებლობა		
საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება		

ზედამხედველი აუდიტორის ხელმოწერა (სახელი, გვარი) _____.